ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4383544

ნომერი: AR1662598

თარიღი : 19.02.2019

გაცემის თარიღი : 20.02.2019

გაცნობის თარიღი : 27.02.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N14); ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N9); ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდ. ნაკვ. N32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კალანდარიშვილი პ/ნ 01010006510
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი I, კორპუსი 11, ბინა 33

ორგანიზაცია:

- შპს პალა კოდი: 405261639

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 19 თებერვლის AR1662598 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: 11/05/2017 წლის №3224141 ბრძანებით, მიწის ნაკვეთზე მდებარე: ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N14); ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N9); ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდ. ნაკვ. N32 (საკადასტრო კოდი: N 01.14.16.015.335) სასტუმროს დანიშნულების ობიექტის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 მაისის #1-1055 განკარგულებით ქალაქი თბილისი, არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა : კ2=2,3. აქედან გამომდინარე, ვინაიდან შეცვლილია მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საჭიროა თავდაპირველად განხორციელდეს აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების შეტანა. რისთვისაც, უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.